ხელი

ხელს ვიჭერ ბუნებ, ვეზიზღელს, ბუნერთლიო, ერთად იბუნავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ. ილია

№2, ივნისი, 2015

გამოცემა მომზადებულია სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა“ ფარგლებში

,,ერთად ვიზრუნოთ, ერთად მოვაგვაროთ''

7 მაისს სამოქალაქო განათლების პროგრამა ,,მომავლის თაობის'' სამიზნე სკოლების მოსწავლეებისა და ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში არსებული ახალგაზრდული კლუბის წევრების ერთობლივი აქცია ,,ერთად ვიზრუნოთ ერთად მოვაგვაროთ'' ჩატარდა. აქციის ფარგლებში დაბა ჩოხატაურის ცენტრალური ადგილები დასუფთავდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. ამავე ინიციატივის ფარგლებში გამოცხადდა გარემოსდაცვით თემაზე შექმნილი პლაკატების კონკურსი. ნამუშევრები განთავსდა ფეისბუქ გვერდზე და გამარჯვებული ნაშრომი გამოვლინდა მოწონებების რაოდენობის მიხედვით. ეს მოსწავლეებია: ნანა მეგრელიშვილი, ნაგომრის საჯარო სკოლა; გიორგი დანელია, თხინვალის საჯარო სკოლა;

,,პროგრამა,, მომავლის თაობის'' მონაწილეები და ზრდასრულთა განათლების ცენტრის ახალგაზრდული კლუბის წევრები გავერთანდით და ერთად დავასუფთავეთ ჩვენი საყვარელი დაბის ცენტრალური ადგილები. ჩვენ ნელნელა ვსწავლობთ გუნდურად მუშაობას და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანაშრომლობას, ვფიქრობ ასე უფრო იოლად და ხარისხიანად მოგვარდება პრობლემები''- ნინო ჩხიკვაძე, ჩოხატაურის სამრევლო სკოლის მოსწავლე

ხელი

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა მსოფლიო დღეს პროგრამა ,,მომავლის თაობის“ სამიზნე სკოლები შეუერთდა

21 მარტს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა მსოფლიო დღე აღინიშნება. ეს თარიღი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 2011 წლიდან დაწესდა და მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, აღინიშნება.

ამ დღეს გურიის რეგიონიდან სამოქალაქო განათლების პროგრამა ,,მომავლის თაობაში“ ჩართული სკოლებიც შეუერთდა და მოაწყვეს ფოტოგადაღებები. სურათები გაგზიარეს სოციალურ ქსელებში და ამ გზით მოახდინეს საზოგადოების ინფორმირება. ამის პარალელურად დაუნის სინდრომის მქონე თანასკოლელებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ხელი

საკლასო პროექტი ,,წყალი-სიცოცხლე“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუთურის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი ,,წყალი-სიცოცხლე“ განახორციელეს. სოფელ გუთურში არ არის ცენტრალიზებული წყალსადენი და მოსახლეობა ინდივიდუალური ჭებით სარგებლობს. რამდენიმე წლის წინ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ჭის წყალი სასმელად უვარგისია, თუმცა მოსახლეობა იძულებულია ის მაინც მოიხმაროს. მოსწავლეებმა თემში არსებული პრობლემებიდან სწორედ ეს საკითხი გამოკვეთეს და გადაწყვიტეს საკლასო პროექტი ამ კუთხით განეხორციელებინათ. მოსწავლეებმა გამოავლინეს ის სამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ვისაც შეეძლო ამ კუთხით დახმარებისა თუ რეკომენ-

დაციის გაწევა, მოიძიეს ინფორმაცია წყლის სარგებლიანობასა და აუცილებლობაზე და 26 თებერვალს სოფელ გუთურის ტერიტორიული ორგანოს შენობაში მოაწყვეს შეხვედრა. შეხვედრას დაესწრო სოფელ გუთურის დეპუტატი ლაშა თოლორდავა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეები ირაკლი კუჭავა, სოფლის რწმუნებული გია პაიჭაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ნატო ჯიბუტი, სურსათის უვნებლობის, ადამიანთა, მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სამსახურის უფროსი ლევან კეკელიძე, ექიმი ენდოკრინოლოგი იზო ცინცაძე და სოფლის მოსახლეობა.

შეხვედრის დასაწყისში მოსწავლეებმა სტუმრებს გააცნეს პრობლემა და ის საფრთხეები, რასაც სასმელად უვარგისი წყალი მოსახლეობას უქმნის, წარმოადგინეს პრეზენტაციები წყლის სარგებლიანობასა და აუცილებლობაზე. შემდეგ კი კითხვებით გადავიდნენ მოწვეულ სტუმრებთან.

ვინაიდან ამ ეტაპზე ცენტრალიზებული წყალსადენის მოწყობისთვის საჭირო სახსრებს ვერც მუნიციპალური ფონდი და ვერც სოფლის განვითარების პროგრამა ვერ გაწვდება, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ გამოთქვა მზადყოფნა, დაფინანსოს სკოლის ეზოში არსებული ჭის წყლის ბაქტერიოლოგიური შემოწმება და მისი ამორეცხვა-დეზინფექციის სამუშაოები.

აღნიშნულ დაპირებას შედეგიც მალე მოყვა და მოსწავლეების მიმართვის საფუძველზე ჩატარდა სკოლის ჭის წყლის ლაბორატორიული ანალიზი. ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული ჭის წყალი სასმელად ვარგისია. მომდევნო ეტაპზე იგეგმება თემში რამდენიმე ჭის წყლის ლაბორატორიული ანალიზი. ასევე მოსწავლეები აპირებენ მოსახლეობის ინფორმირებას ჭების მოვლა-პატრონობისა და დეზინფექციის ნორმების შესახებ.

ხელი

გადავარჩინოთ ქართული ფუტკარი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს საკლასო პროექტი სახელწოდებით ,,გადავარჩინოთ ქართული ფუტკარი და მეფუტკრეობა''.

პროექტს წინ უძღოდა კვლევა ახალგაზრდებში პოპულარული და არაპოპულარული პროფესიების გამოსავლენად. გამოიკითხა 120 მოსწავლე. კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდებისთვის ყველაზე პოპულარულ პროფესიებად დასახელდა ჟურნალისტიკა, იურისპრუდენცია და ფინანსები. გამოკითხულთაგან არც ერთ მათგანს არ დაუსახელებია პროფესიები სოფლის მეურნეობის დარგებიდან. პარალელურად ჩატარდა კვლევა სოფლად, სადაც მოსახლეობა (100 კომლი) გამოიკითხა სოფელში საჭირო პროფესიების შესახებ. გამოვლინდა პროფესიონალი მეფუტკრის, ვეტექიმის, აგრონომის, დურგალის დეფიციტური პროფესიები. მოსწავლეებმა ერთ-ერთ მათგანზე, მეფუტკრეობაზე შეაჩერეს ყურადღება და სოფლის მურნეობის აღნიშნული დარგის შესახებ მასალების შეგროვება დაიწყეს. მოსწავლეებს დაეხმარნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგი ხათუნა აფხაზავა და გეოგრაფიის მასწავლებელი აკაკი თავდგირიძე, რომელიც პროფესიონალი მეფუტკრეა.

10 თებერვალს მოეწყო შეხვედრა თემაზე ,,გადავარჩინოთ ქართული ფუტკარი''. შეხვედრას მეფუტკრე აკაკი თავდგირიძე გაუძღვა. მეფუტკრეობის შესახებ მინილექციის შემდგომ მან წარმოადინა მეფუტკრეობის პროდუქტები: თაფლი, თაფლის არაყი, დინდგელი, ფიჭა, სანთელი და მათ შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა შეხვედრის მონაწილეებს.

მოსწავლეებმა თავის მხრივ, წარმოადგინეს სოფლად ჩატარებული კვლევის შედეგები. მეფუტკრეობის განვითარების ისტორიაზე ისაუბრეს მოსწავლეებმა: დიმიტრი აბაშიძემ, თეა აბაშიძემ, ზურაბ ნაკაშიძემ და დიანა მოისწრაფიშვილმა. შეხვედრასას გაიმართა დისკუსია ფინანსურად მომგებიანი პროფესიების შესახებ.

დარბაზში მსხდომთაგან მეფუტკრეობით დაინტერესებული მოსწავლეც გამოჩნდა. ბაჩუკი შაინიძე, ხაჯალიის საჯარო სკოლის მოსწავლე: ,,სახლში გვყავს ფუტკარი. ჩვენი ოჯახის ძირითადი შემოსავალი მეფუტკრეობიდანაა. ბაბუას დიდი სიამოვნებით ვეხმარები მოვლა-პატრონობაში. ყველაზე მეტად თაფლის ხილვა მიყვარს. ვფიქრობ, მეფუტკრე გამოვალ.''

ღონისძიების ბოლოს აკაკი თავდგირიძე მეფუტკრეობით დაინტრესებულ მოსწავლეებს საკუთარ მეურნეობაში საცდელ ჩვენებას შეპირდა. იგი მზადაა გამოცდილება გაუზიაროს ამ საქმიანობით დაინტერესებულ ყველა პირს. როგორც მან აღნიშნა, შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობა სოფლად უნდა დამკვიდრდეს, ამიტომაც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იცნობდნენ სოფლის მეურნეობის დარგებს. თუკი ისინი სკოლიდანვე აიმაღლებენ ცოდნას და გამოიმუშავებენ საჭირო უნარებს, აღარ გაუჭირდებათ ფუტკრის მოვლა სახლის პირობებში.

ხელი

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩოხატაურის სამრევლო სკოლაში

2015 წლის 4 მარტს ჩოხატაურის სამრევლო სკოლის X კლასის მოსწავლეებისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგის ორგანიზებით ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მონაწილეებმა მოიწვეული სტუმრების, მოსწავლეების, პედაგოგების, სასულიერო პირის, სკოლის დირექციის, დღის ცენტრის ორგანიზატორების წინაშე საინტერესო და გემოვნებიანი მხატვრული ნომრები წარადგინეს. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დღის ცენტრის ბენეფიციარი მოსწავლეები. საღამოს წამყვანი დღის ცენტრ ,,სავანეს'' აღსაზრდელი ავთო ღომთათიძე იყო. X კლასის მოსწავლეებმა სკოლის დირექციისა და კერძო პირების დახმარებით განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა დედებისათვის თაიგულები და საჩუქრები მოამზადეს. მონვეულმა სტუმრებმა დაათვალიერეს დღის ცენტრის აღსაზრდელების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა თემაზე - ,,ჩემი თვალით დანახული დედა''. ღონისძიებას 150 - მდე ადამიანი დაესწრო.

საკლასო პროექტის მიზანი დღის ცენტრის აღსაზრდელთა საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლება იყო. პროექტის დაგეგმვის და განხორციელების ყველა ეტაპში, როგორიცაა: ღონისძიების სცენარის შედგენა, მოსაწვევების გავრცელება, საკონცერტო ნომრების მომზადება - დღის ცენტრის ბენეფიციარი მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. დღის ცენტრი ,,სავანე'' აერთიანებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული საჭიროების მქონე 20 მოსწავლეს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან.

ხელი

ნიკოტინისგან თავისუფალი სოფელი

ვანზომლეთის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი განახორციელეს სახელწოდებით ,,ნიკოტინისგან თავისუფალი სოფელი". პროექტის მიზანი სოფლის მოსახლეობის, მათ შორის ახლგაზრდების ნიკოტინის მავნებლობის შესახებ ინფორმირება იყო. მოსწავლეებმა მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით მოამზადეს პრეზენტაციები, მოიწვიეს სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სოფლის მოსახლეობა, ექიმები. წარიმართა საუბრები, საკითხის განხილვა-მსჯელობა.

ყველაზე საინტერესო იყო ყოფილი მწეველი ადამიანის გამოცდილების გაზიარება იმის თაობაზე, თუ როგორ დაანება სიგარეტის მოწევას თავი, როგორი იყო მისი განცდები. ასევე მომეწონა მოსწავლეების მიერ ლექსად გადმოცემული მოსაზრებები სიგარეტის მავნებლობაზე, ჯანსაღი ცხოვრების სტილზე. ვფიქრობ მსგავსი შეხვედრები დაეხმარება ახალგაზრდებს სწორი არჩევანის გაკეთებაში - აღნიშნა ვანზომლეთის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მედეა თავაძემ.

ხელი

მეორე მსოფლიო ომი და ჩემი სოფელი

თხინვალის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი ,,მეორე მსოფლიო ომი და ჩემი სოფელი განახორციელეს''. მეორე მსოფლიო ომში სოფელ თხინვალიდან 144 კაცი გაიწვიეს ომში, აქედან 52 შინმოუსვლელია. პროექტის მიზანი სწორედ ამ ადამიანთა ღვაწლისადმი პატივის მიგება და მათ შესახებ მომავალი თაობის ინფორმირება იყო. X კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული სოფლიდან ომის მონაწილეთა შესახებ, ოჯახებში ვიზიტებისა და სოფლის უხუცესებთან გასაუბრების შედეგად შეაგროვეს შინმიუსვლელთა ბიოგრაფიული ცნობები. დაასუფთავეს სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა მემორიალური დაფის მიმდებარე ტერიტორია.

მოსწავლეებმა ინტერნეტისა და სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით შექმნეს ნაშრომები მეორე მსოფლიო ომზე, ქართველ გმირებზე, სოფლიდან წასულ ომის მონაწილეებზე. მოამზადეს კედლის გაზეთი სახელწოდებით ,,სიცოცხლის ხე'' და ვიდეოკლიპი ომის თემაზე.

პროექტის ფარგლებში გაიმართა ღონისძიება ,,მეორე მსოფლიო ომი და ჩემი სოფელი''. შეხვედრაზე მოიწვიეს ომის მონაწილეთა შთამომავლები, პედაგოგები. მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკუთარი ნაშრომები, მოძიებული მასალები, კედლის გაზეთი, საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებული ვიდეოკლიპი. მოწვეულმა სტუმრებმა გაიხსენეს მათი ოჯახებიდან წასული და დაღუპული მებრძოლები. სოფელ თხინვალის მკვიდრის გერასიმე დონაძის ოჯახიდან ომში 6 მამაკაცი წასულა, აქედან 3 შინმოუსვლელთა სიაშია. სწორედ მათმა შთამომავალმა, პატარა მომღერალმა, რამდენიმე სიმღერა მიუძღვნა მათ ხსოვნას.

მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში შეგროვებული მასალები მომზადეს ხელნაწერ ჟურნალად. ხელი

ჯანსაღი ცხოვრების წესის კვირეული ნაგომრის საჯარო სკოლაში

2015 წლის 23-27 თებერვალს სამოქალაქო განათლების პროგრამის - ,,მომავლის თაობა" ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომრის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტის ფარგლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის კვირეული ჩაატარეს. კვირეულის პირველი დღე მოსწავლეებმა საჭირო მასალების მოძიებასა და მოსწავლეთა გამოკითხვას დაუთმეს. გამოკითხვის მიზანი იყო მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენა ჯანსაღი ცხოვრების წესის ირგვლივ. მეორე დღეს საინფორმაციო შეხვედრები მოაწყვეს უმცროსკლასელებთან ჯანსაღად კვებისა და ჰიგიენის საკითხებზე. მესამე დღეს მოიწვიეს ექიმი. მან საინტერესო და აუცილებელი ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესის სხვადასხვა ასპექტებზე. შეგროვებული ინფორმაციის თავმოყრა მოსწავლეებმა კედლის გაზეთში მოახერხეს. ასევე სკოლის დერეფანში თავლსაჩინო ადგილას მოაწყვეს მოძიებული მასალების მინი ბიბლიოთეკა. მეოთხე დღე უმცროსკალსელთა ნახატების გამოფენასა და სკოლაში მხიარულ სტარტებს დაეთმო. კვირეულის ბოლოს მოეწყო დასკვნითი კონფერენცია, სადაც მონაწილეებმა გაწეული მუშაობის შედეგები შეაფასეს. ხელი

საკლასო პროექტი შუა ამაღლების საჯარო სკოლაში

სამოქალაქო განათლების პროგრამის - ,,მომავლის თაობა" ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი ,,ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია" განახორციელეს.

საზოგადოების დაბალი ინფორმირების, სოფელში არსებული მძიმე სოციალური ფონისა თუ უმუშევრობის მაღალი დონის გამო მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი თმბაქოსა და ალკოჰოლის მომხმარებელია, არ მისდევენ ცხოვრების ჯანსაღ წესს. სწორედ ამიტომ შუა ამაღლების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესის კუთხით მოემზადებინათ და მოსახლეობის ინფორმირება მოეხდინათ. პროექტის ფარგლებში 5 მარტს მოეწყო შეხვედრა, რომელსაც მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის დირექციის, ადგილობრივი თემისა და სოფლის ამბულატორიის წარმომადგენლები დაესწრნენ. შეხვედრაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები თამბაქოს, ალკოჰოლისა და ფიზიკური ვარჯიშის შესახებ. ჯანმრთელობასთან და მავნე ჩვევებთან დაკავშირებული რჩევები მისცა დამსწრე აუდიტორიას მოწვეულმა ექიმმა. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები და ისაუბრეს თემში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, მიზეზებზე. მოსწავლეებმა მოამზადეს და წარმოადგინეს ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე მომზადებული კედლის გაზეთი. საზოგადოების მეტი ინფორმირების მიზნით მოზარდებმა ადგილობრივ თემში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო ფურცლების გამოკვრა დაგეგმეს. ხელი

მოვარგოთ გურია ეტლით მოსარგებლეებს

სამოქალაქო განათლების პროგრამის - ,,მომავლის თაობა" ფარგლებში ნახატებისა და ფოტოების კონკურსი მოეწყო სახელწოდებით ,,მოვარგოთ გურია ეტლით მოსარგებლეებს". კონკურსის მიზანი გურიის სინამდვილეში ეტლით მოსარგებლეთა პრობლემების ასახვა იყო. აქციაში გურიის მასშტაბით რვა სკოლის მოსწავლე ჩაერთო. მოსწავლეებმა მრავალფეროვანი ნამუშევრები წარმოადგინეს. სულ შემოვიდა სამოცდაათი ფოტოსურათი და ნახატი. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საუკეთესო ნახატის ავტორი გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი სურმანიძე, ხოლო საუკეთესო ფოტოს ავტორი - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის მოსწავლე ირაკლი კუტუბიძე. ხელი

საგანმანათლებლო სესია ალექსანდრე ქართველის შესახებ

2015 წლის 5 მარტს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა საგანმანათლებლო სესია ამერიკაში მოღვაწე ქართველი ავიატორის შესახებ. ალექსანდრე ქართველი (ქართველიშვილი) ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის მიერ არის შექმნილი 15-მდე სამხედრო თვითმფრინავი, მათ შორის პირველი - ф-47, რომელიც ამერიკის ლეგენდად ითვლება. სწორედ ამ თვითმფრინავმა მოუტანა ამერიკის შეერთებულ შტატებს გამარჯვება მეორე მსოფლიო ომის დროს. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ცოტა ადამიანი იცნობს ალექსანდრე ქართველის დამსახურებას და ბიოგრაფიას. საგანმანათლებლო სესიებს, ამერიკაში მოღვაწე ქართველი ავიატორის შესახებ, ალექსანდრე ქართველიშვილის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი ქალბატონი ლელა ქართველიშვილი უძღვებოდა.

მოსწავლეებისთვის სესიები ძალიან საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა. მათ გაიცნეს კიდევ ერთი ცნობილი ქართველი ემიგრანტი, მიმოიხილეს მისი ბიოგრაფიიდან მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მათთვის საინტერესო კითხვებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები. სესიების დროს ასევე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი ალექსანდრე ქართველის მოღვაწეობის შესახებ.

ხელი

პირველი რადიოგადაცემა ხაჯალიის საჯარო სკოლაში

1 მაისს მცირე გრანტის ,,ღია სივრცე“ ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლაში პირველი რადიოგადაცემა გავიდა. რადიოგადაცემის მოსასმენად მოსწავლეები და მასწავლებლები მთელი სკოლიდან იყვნენ მობილიზებული და ინტერესით ელოდნენ სიახლეს მათ სკოლაში. პირველი სიუჟეტი გაცნობითი ხასიათის იყო, მოსწავლეებმა ისაუბრეს მცირე გრანტის ფარგლებში მოწყობილი რადიოკვანძის შესახებ, მსმენელებს გააცნეს რადიოს მუშაობის სპეციფიკა, პერიოდულობა, რუბრიკები, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა და მოუწოდეს, თავადაც ჩაერთონ რადიოს მუშაობაში და მიაწოდონ სარედაქციო კოლეგიას მათთვის საინტერესო თემატიკა. პირველი რადიოგადაცემის ერთი ნაწილი დაეთმო ინფორმაციას სკოლისა და სოფლის ისტორიის შესახებ.

რადიოგადაცემას წინ უძღვოდა ტრენინგი, რომელიც ,,ლანჩხუთი პლუს“-ის მთავარმა რედაქტორმა ქეთევან ნაკაშიძემ მოხალისეობრივად ჩაატარა და მოსწავლეებს ესაუბრა, თუ როგორ მოამზადონ ინფორმაცია რადიოსთვის. ხოლო რადიოგადაცემის თემატიკის გამოსავლენად, IX კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს გამოკითხვა VII-XII კლასებში.

მცირე გრანტის ფარგლებში ხაჯალიის საჯარო სკოლაში მოეწყო რადიოკვანძი. მოსწავლეებმა სასკოლო და სათემო გამოკითხვების გზით გამოავლინეს საკითხები და მოამზადეს რადიოგადაცემები.

ხელი

რა უნდა ვიცოდეთ ტრეფიკინგზე

ჯუმათის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა საკლასო პროექტი განახორციელეს თემაზე ,,რა უნდა ვიცოდეთ ტრეფიკინგის შესახებ“. პროექტის მიზანი ტრეფიკინგის პრევენცია იყო ადგილობრივ თემში. მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება გადაწყვიტეს გამომდინარე იქედან, რომ ადამიანისათვის ინფორმაციის მიწოდება მას საშუალებას აძლევს წინასწარ გაიაზროს და თავიდან აიცილოს ტრეფიკერის მხრიდან მისი გადაბირების, იძულების ან მოტყუების მცდელობა.

საკლასო პროექტის თემა შეირჩა სოფლად ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, რომლის მიხედვით მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა გაედინება მეზობელ თურქეთსა და სხვა ქვეყნებში დასაქმების მიზნით. გამოკითხულთაგან იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი. მათი ისტორიები ერთმანეთს გავს - დასაქმების მსურველი დამსაქმებლისგან იღებს დაპირებას მაღალანაზრაურებად სამუშაოზე, ადგილზე ჩასულებს კი ართმევენ პასპორტს, ამუშავებენ იძულებით, ხოლო ანაზღაურებულ თანხას ართმევენ, თითქოსდა იქ ჩასვლის ხარჯების დასაფარად.

,,ჩვენ შევხვდით და გამოვიკვლიეთ ტრეფიკინგის მსხვერპლი ჩვენი თანასოფლელები. დაზარალებულმა პირებმა ჩვენი თხოვნით, გვიამბეს მათი ისტორიები. მათი მონათხრობი საფუძვლად დაედო ჩვენს შეხედულებებს ტრეფიკინგის შესახებ'' - აღნიშნა ჯუმათის საჯარო სკოლის მოსწავლემ ლიკა ავაკიანმა.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოაწყვეს შეხვედრა სოფლის მოსახლეობასთან და წარადგინეს პრეზენტაციები მათ წინაშე ტრეფიკინგის შესახებ, პრევენციის გზებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოსწავლეებმა გაავრცელეს მოსახლეობაში ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უნდა გაითვალსწინოს ადამიანმა, რათა არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი.

,,ჩვენი კვლევის ყველაზე დიდ მიღწევად მიგვაჩნია ის, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ გაიგო,რომ ბრმად არ უნდა ენდონ უცხო ადამიანებს, არ უნდა მისცენ პირადობის დამადასტურებელი საბუთები სხვებს. პრობლემების შემთხვევებში კი უნდა დაუკავშირდნენ საელჩოებს'' - ნია სეფერთელაძე, მოსწავლე.

ხელი

ონლაინ კონფერენცია

26 თებერვალს გაიმართა ონლაინ კონფერენცია სამოქალაქო განათლების თემაზე, რომლის სტუმრები იყვნენ *USAID*-ის საქართველოს ოფისის წამრომადგენლები: ქ-ნი მონიკა გორცელანსკა და ქ-ნი შამენა გალი. სტუმრებმა ისაუბრეს მოხალისეობასა და სამოქალაქო მონაწილეობის როლზე. ონლაინ კონფერენციაში ჩაერთნენ პროგრამა ,,მომავლის თაობის“ სამიზნე სკოლების მოსწავლეები გურიიდან, დასვეს მათთვის საინტერესო კითხვები და მიიღეს პასუხები.

ხელი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

PH international ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ სამოქალაქო განათლების პროგრამის ,,მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება PH-International-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. იგი წარმოადგენს პროგრამის საანგარიშო გამოცემას. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

გამოცემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და ასევე
თანამშრომლობის მსურველ მოზარდებსა და პედაგოგებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი – ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 0496 27 41 26 / მობილური: 599 156384 / ელ—ფოსტა: GYRC.INFO@GMAIL.COM